საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1146-03
22/07/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების პირობებისა და თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" რექტორის 2026 წლის 14 ივლისის N 1117-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე: **„კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)", ,,კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)", „კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო)", „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი), ,,სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)", ,,ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)"** შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს გასაუბრების ფორმატით და მის ძირითად მიზნად განისაზღვროს დარგობრივი ცოდნისა და მოტივაციის შეფასება.
2. საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამებზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდის პერიოდად განისაზღვროს 28 ივლისი, 11:00 საათი.
3. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდის ჩატარდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის T კორპუსის 206 ოთახში.
4. დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდის დროის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს არაუგვიანეს 24 ივლისის 18:00 საათისა.

5. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 31 ივლისის 18:00 საათისა.
6. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა საპრეტენზიო განაცხადები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე გადმოაგზავნონ შემდეგ ელ. მისამართზე bte@iliauni.edu.ge 3 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით.
7. განმეორებითი გასაუბრება/გამოცდის პერიოდად განისაზღვროს 4 აგვისტო.
8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი